საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-1178

03/12/2019

ქ. თბილისი

„შპს „წითელი აგური“-ს აგურის წარმოებაზე გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 6 აგვისტოს №ი-145 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ

სამინისტროს განცხადებით მომართა შპს „წითელი აგურის“ დირექტორმა და ითხოვა სამინისტროს მიერ 2013 წლის №41 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის (30.07.2013) საფუძველზე გაცემული №000012 გარემოზე ზემოქმედების ნებართვის (06.08.2013) გაუქმება.

2013 წელს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ შპს „წითელი აგურის“ „აგურის წარმოების“ პროექტზე გაიცა №41 (30.07.2013) ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა და გარემოზე ზემოქმედების ნებართვა.

განცხადებაში აღნიშნულია, რომ საწარმოს შენობა დაზიანებულია და საქმიანობის განმხორციელებელი ვერ ახერხებს მის შეკეთებას, შესაბამისად ითხოვს გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაუქმებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებითა და „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61-ე მუხლის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „შპს „წითელი აგური“-ს აგურის წარმოებაზე გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 6 აგვისტოს №ი-145 ბრძანება;
2. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს შპს „წითელ აგურს“;
3. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „წითელი აგურის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
4. ბრძანების გაცემიდან 3 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე;
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-

12 კმ. №6), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი